ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6458585

ნომერი: AR1964024

თარიღი : 02.05.2023

გაცემის თარიღი : 15.05.2023

გაცნობის თარიღი : 15.05.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძეს ქუჩა, N 2გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ორდენიძე პ/ნ 01024025196
- თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 19 ბ. 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 2 მაისს №AR1964024 განცხადებით მომართა ირაკლი ორდენიძემ და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 8 ივნისის №4005781 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 8 ივნისის №4005781 ბრძანებით, სამსახურის 2011 წლის 5 სექტემბრის №01/2657 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 8 ივნისიდან 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, დღევანდელი მდგომარეობით, სამსახურის 2019 წლის 13 ივნისის №4525926 ბრძანება, მშენებლობის ვადის გასვლიდან გამომდინარე, წარმოადგენს ძალადაკარგულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
სამსახურის 2019 წლის 12 დეკემბრის №4788682 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2018 წლის 8 ივნისის №4005781 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციასთან დაკავშირებით და დამკვეთად ი.ბ.ა. "მზიანეთი“-ს (ს/ნ: 205281461) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს ,,იქსორი’’ (ს/ნ: 405102829).
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2018 წლის 8 ივნისის №4005781 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთის ინფორმაციასთან დაკავშირებით და ამჯერად შპს ,,იქსორი’’-ს (ს/ნ: 405102829) ნაცვლად ი.მ.ა "მზიანეთი"-ს (ს/ნ 205281461) დაფიქსირება.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, სამსახურის 2018 წლის 8 ივნისის №4005781 ბრძანება მშენებლობის ვადის გასვლიდან გამომდინარე წარმოადგენს ძალადაკარგულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, სამსახური მოკლებული შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2018 წლის 8 ივნისის №4005781 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციასთან დაკავშირებით.
გაითვალისწინეთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების შემთხვევაში (ბოლო სტადიაზე) დამკვეთად შესაძლებელია დაფიქსირდეს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.